ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აგრძელებს თანამშრომლობას ევროკომისიის პროგრამა ERASMUS MUNDUS-თან და აცხადებს კონკურსს თსუ მაგისტრატურის პირველი სემესტრის სტუდენტებისთვის (პირველი სამიზნე ჯგუფი) ევროპის 9 უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სასწავლო სტიპენდიის მოსაპოვებლად

სააპლიკაციო დოკუმენტაციის მიღება ხდება ელექტრონულად შემდეგი ვებ-გვერდის საშუალებით:

http://ianus.uaic.ro/

სავალდებულო დოკუმენტების ჩამონათვალი	**მაგისტრატურის პირველი სემესტრის სტუდენტები**
ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ	გაცემული შესაბამისი ფაკულტეტის მიერ (დოკუმენტის ნოტარიალურად დამოწმებული ინგლისური ვერსია)
ბაკალავრის დიპლომი	არქონის შემთხვევაში, ცნობა, რომ დამთავრებული გაქვთ და აღების სავარაუდო თარიღი (დანართი 1)
ბაკალავრიატის ნიშნების ამონაწერი	გაცემული შესაბამისი ფაკულტეტის მიერ (დოკუმენტის ნოტარიალურად დამოწმებული ინგლისური ვერსია, თუ ფაკულტეტის მიერ არ არის ინგლისურ ენაზე მომზადებული)
ენის საერთაშორისო სერთიფიკატი (TOEFL, IELTS)	სტუდენტებმა, რომელთაც არ აქვთ ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი, არაუგვიანეს 2012 წლის 14 დეკემბრისა უნდა გაიარონ რეგისტრაცია თსუ საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტში და დაწერონ B2 დონის ინგლისური ან მიმღებ უნივერსიტეტში სასწავლო ენად შემოთავაზებული სხვა (გერმანული, იტალიური და ა.შ) ენის B2 ტესტი. შესაძლებელია, ასევე, რომ ზოგიერთმა უნივერსიტეტმა სავალდებულოდ არ მიიჩნიოს ენის სერთიფიკატის ქონა, ამ შემთხვევაში შეავსეთ და ატვირთეთ დანართი 2. თუმცა ასევე შესაძლებელია, რომ ზოგიერთმა უნივერსიტეტმა სავალდებულოდ მიიჩნიოს საერთაშორისო ენის სერთიფიკატის ქონა, გადაამოწმეთ ინფორმაცია სასურველი უნივერსიტეტის მოთხოვნებში!!
სასწავლო გეგმის მონახაზი	შეამოწმეთ თქვენი სასურველი უნივერსიტეტის მიერ შემოთავაზებული სასწავლო პროგრამები და იხილეთ შესავსები თანდართული დოკუმენტი, რომელსაც ხელს აწერთ თქვენ და თქვენი ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. მონახაზი ყველა არჩეულ უნივერსიტეტზე ცალ-ცალკე უნდა გაკეთდეს (დანართი 3)
მოტივაციის წერილი	რატომ გსურთ ზემოაღნიშნულ პროგრამაში მონაწილეობის მიღება (ინგლისურ ენაზე)
CV	იხილეთ თანდართული ნიმუში (დანართი 4; EN)
ერთი რეკომენდაციის წერილი	ინგლისურ ენაზე, შესაბამისი ფაკულტეტის ბეჭდით

	დამოწმებული
პასპორტი	სურათიანი გვერდის დასკანერებული ვერსია
სოციალურ-ეკონომიკური, ჯანმრთელობის პრობლემის, დევნილის სტატუსის დამადასტურებელი ცნობა (არსებობის შემთხვევაში)	ოფიციალური დოკუმენტი, რომ მიეკუთვნებით სოციალურად დაუცველ ფენას, იღებთ სოციალურ შემწეობას, ჯანმრთელობის პრობლემის დამადასტურებელი დოკუმენტი ან დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი (ნოტარიალურად დამოწმებული ინგლისური ვერსია)

პროექტში მონაწილე ევროპული უნივერსიტეტები:

1. იაშის უნივერსიტეტი, რუმინეთი
2. კარლ-ფრანცეზის უნივერსიტეტი, გრაცი, ავსტრია
3. ლილი 1: მეცნიერებისა და ტექნოლოგიის უნივერსიტეტი, საფრანგეთი
4. მონპელიე 2: მეცნიერებისა და ტექნოლოგიის უნივერსიტეტი, საფრანგეთი
5. ფრიდრიხ შილერის იენის უნივერსიტეტი, გერმანია
6. გრონინგენის უნივერსიტეტი, ჰოლანდია
7. იაგელონიის უნივერსიტეტი, კრაკოვი, პოლონეთი
8. ბატეი ბელის უნივერსიტეტი, სლოვაკეთი
9. გრანადის უნივერსიტეტი, ესპანეთი

პარტნიორი უნივერსიტეტების მიერ შემოთავაზებული სასწავლო პროგრამები:
http://ianus.uaic.ro/academic-offer
მობილობის პერიოდი: 2013/2014 აკადემიური წელი
მობილობის ხანგრძლოვობა: 1 ან 2 აკადემიური სემესტრი
სტიპენდია მოიცავს 1000 ევროს ყოველთვიურად, საერთაშორისო მგზავრობისა და დაზღვევის დაფინანსებას.

სრული სააპლიკაციო დოკუმენტაციის პროექტის ვებ-გვერდზე ატვირთვის ბოლო ვადა:
2013 წლის 14 თებერვალი

დამატებითი ინფორმაციისა და საჭიროების შემთხვევაში ენის ტესტზე
დასარეგისტრირებლად მიმართეთ
ანი ჭელიშვილს თსუ საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტში
(აუცილებლად იქონიეთ თან ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ, ქართულ ენაზე)
თსუ პირველი კორპუსი, პირველი სართული, ოთახი 121. ელ-ფოსტა: erasmus@tsu.ge